საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაბაშვილი მაია

გაბაშვილი (გაბაონი) მაია, XVIII ს. პოეტი. დიდი კულტ. ტრადიციებით ცნობილი გვარის წარმომადგენელი. ბიოგრ. ცნობები არ შემორჩენილა. ხელნაწერმა შემოგვინახა მისი ერთადერთი ლექსი – ანბანთქება – „გამოცანა ანბანზე“. ავტორი გვაუწყებს, რომ ლექსი სიყრმის ჟამს შეუთხზავს, მასში ნათლად ჩანს მითოლოგიის ცოდნა, ახალგაზრდა პოეტის *ლიტ.* გემოვნება და გონებამახვილობა.

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი ლ., რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ., 1958. მ ი ქ ა ძ ე გ., ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII–XIX სს.), თბ., 1954.

ლ. კეკელიძე